

# ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში

ცვლილებები და ტენდენციები 2009-2013

## კვლევის ანგარიში

*კვლევა ჩატარდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით, CRRC საქართველოს მიერ, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის (Sida) მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და CRRC საქართველო. ანგარიში არ გამოხატავს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.*



## სარჩევი

მიმოხილვა .....	3
შესავალი.....	5
ევროკავშირის შესახებ ცოდნა და აღქმა: ცვლილებები და ტენდენციები.....	7
სოციალური და პოლიტიკური განწყობები: ევროპული ღირებულებებისკენ ნელი სვლა.....	17
დასკვნა.....	22
დანართი 1: საქართველოს ეთნიკური უმცირესობები .....	23
დანართი 2: მეთოდოლოგია .....	25
დანართი 3: ცხრილები.....	28

## მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ევროკავშირის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებისა და მის შესახებ ცოდნის კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევის სამი ტალღის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც 2009, 2011 და 2013 წლებში ჩატარდა, განხილულია ის ტენდენციები და ცვლილებები, რომლებიც შეინიშნება ევროკავშირის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებასა და ცოდნაში. გარდა ამისა, ბოლო გამოკითხვის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც, რათა შეგვესწავლა საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შეხედულებები და დაგვედგინა განსხვავებები ეთნიკური უმცირესობისა და უმრავლესობის შეფასებებს შორის. რესპონდენტებს, რომლებთანაც ინტერვიუები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდა, ანგარიშში მოვიხსენიებთ როგორც „უმცირესობებს“, ხოლო ქართულ ენაზე გამოკითხულ რესპონდენტებს – როგორც „ქართულენოვნებს“. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ინტერვიუები ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1).

აღნიშნული კვლევა ჩატარა CRRC საქართველომ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაკვეთით.

მთავარი მიგნებები:

- ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერა საქართველოში კვლავ ძალიან ძლიერია და რეგულარულად ხვალ რომ ტარდებოდეს, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ევროკავშირში გაწევრიანებას მისცემდა ხმას. თუმცა, რესპონდენტთა მხოლოდ 13 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანა მზად არის ევროკავშირში გასაწევრიანებლად და მხოლოდ ერთი მესამედი ფიქრობს, რომ ევროკავშირის მოსახლეობის უმეტესობა ისურვებდა საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში.
- ქართულენოვნებიც და უმცირესობებიც ფიქრობენ, რომ ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია. ამავე დროს რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის დახმარება არამიზნობრივად იხარჯება და სარგებელი ძირითადად მაღალჩინოსნებისთვის მოაქვს. ამავე დროს რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ევროკავშირი საქართველოს ალტრუისტული მიზნების გამო ეხმარება.
- ქართულენოვნები ელიან, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად გაიზარდება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი და გაუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულენოვნები ევროკავშირში გაწევრიანებას ქვეყნის ყველაზე მწვავე პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად განიხილავენ. ამავე

დროს რესპონდენტთა თითქმის ერთი მესამედი ფიქრობს, რომ ევროკავშირი „საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს“.

- ევროკავშირის მიმართ მეტწილად დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, ქართველებში ევროკავშირში ემიგრაციის დიდი სურვილი არ შეინიშნება. ქართულენოვნების მხოლოდ ერთმა მეოთხედმა თქვა, რომ წავიდოდა რომელიმე ევროპულ ქვეყანაში სამუშაოდ და 11 პროცენტმა აღნიშნა, რომ იქ მუდმივად დასახლდებოდა.
- არც ქართულენოვნებს და არც უმცირესობებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ევროკავშირის, განსაკუთრებით კი საქართველოში ევროკავშირის როლის შესახებ. მართალია, წინა წლებთან შედარებით ქართულენოვნები ევროკავშირის შესახებ ოდნავ მეტ ცოდნას ავლენენ, მაგრამ უმცირესობები ინფორმაციის მწვავე დეფიციტის განიცდიან.
- ქართულენოვნები სულ უფრო მეტად იზიარებენ ევროპულ ღირებულებებს, მაგრამ ზოგ საკითხზე კონსერვატიული განწყობები მაინც მძლავრობს. ქართულენოვნები უფრო და უფრო ხშირად აცხადებენ, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული და კარგი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია, იყოს კრიტიკური მთავრობის მიმართ. ეთნიკური უმცირესობები უფრო პატერნალისტურ დამოკიდებულებას ავლენენ და მათი სამი მეოთხედი აღნიშნავს, რომ მთავრობა მშობელივით უნდა ზრუნავდეს ადამიანებზე.
- ევროპული ინტეგრაცია და საგარეო პოლიტიკის საკითხები ქართულენოვნებისთვისაც და ეთნიკური უმცირესობებისთვისაც, ზოგადად, მეორეხარისხოვანია ეკონომიკურ საკითხებთან შედარებით. ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემად უმუშევრობა რჩება, ხოლო ტერიტორიული მთლიანობა ახლა ნაკლებად მწვავე პრობლემად მიიჩნევა, ვიდრე 2009 და 2011 წლებში.

## შესავალი

უკვე მრავალი წელია, რაც ევროპასთან ინტეგრირება ქართული პოლიტიკური ელიტის ლაიტმოტივია. ქართველი პოლიტიკოსები მმართველი თუ ოპოზიციური ძალებიდან ევროპასთან კავშირებს ფაქტობრივად თავიანთ ღირსებად მიიჩნევენ და ცოტაა ისეთი წამყვანი პოლიტიკური აქტორი, რომელიც საქართველოს ევროპულ არჩევანს ეჭვის ქვეშ აყენებს. ამავე დროს ევროკავშირი მნიშვნელოვან ძალისხმევას და რესურსებს დებს საქართველოში და ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს ეხმარება დემოკრატიის, პლურალიზმის, გამჭვირვალობისა და ეკონომიკის განვითარებაში.

ცოტა ხნის წინ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაიწყო, რაც, სავარაუდოდ, გააღრმავებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს რეფორმების განხორციელება ევროკავშირის სტანდარტებსა და პრაქტიკასთან მეტად დაახლოებისთვის. თავის მხრივ, ევროკავშირმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის.

შესაბამისად, ევროპის მიმართ საქართველოს მოსახლეობის განწყობების შესწავლა და საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, დაუახლოვოს ქვეყანა ევროკავშირის სტანდარტებსა და პრაქტიკას, ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. როგორც ეს ანგარიში გვიჩვენებს, ქართულენოვნები გამოკვეთილად ევროფილები არიან. თუმცა, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა, რომლებსაც უმუშევრობა და ეკონომიკური პრობლემები აწუხებთ, ევროკავშირში გაწევრიანებას მაინც როგორც შორეულ პერსპექტივას, ისე უყურებს. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ როგორც ევროკავშირის საქმიანობაზე საქართველოში, ასევე ევროკავშირში ინტეგრირებისთვის ქვეყნის მთავრობის მიერ გაწეულ ძალისხმევაზე. ევროპის შესახებ განსაკუთრებით არაინფორმირებულები ეთნიკური უმცირესობები არიან. ისინი ბევრად ნაკლებად აიგივებენ საკუთარ თავს ევროპელებთან და თავიანთ სავაჭრო პარტნიორად რუსეთს უფრო განიხილავენ. ამ სიტუაციაში ევროპის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ამოცანა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია ევროკავშირის და, განსაკუთრებით ევროპული ინტეგრაციის მიმართ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ცოდნის კვლევის სამი ტალღის შედეგები. კვლევის პირველი ტალღა 2009 წელს ჩატარდა, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. კვლევის მეორე ტალღა 2011 წელს ჩატარდა, მესამე კი - 2013-ში, ანუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების შემდეგ. პირველი ორი კვლევისგან განსხვავებით, მესამე, 2013 წლის კვლევამ ასევე შეისწავლა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების

წარმომადგენლების ცოდნა და დამოკიდებულება.<sup>1</sup> შესაბამისად, ეს ბოლო კვლევა გვიჩვენებს მთავარ განსხვავებებს ქვეყნის ეთნიკური უმცირესობებისა და ეთნიკური უმრავლესობის პრიორიტეტებსა და განწყობებს შორის.

---

<sup>1</sup> ეს ინტერვიუები უმცირესობათა ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული) ჩატარდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2.

## ევროკავშირის შესახებ ცოდნა და აღქმა: ცვლილებები და ტენდენციები

ქართველები, ზოგადად, მხარს უჭერენ და კეთილად არიან განწყობილი ევროკავშირის მიმართ და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ძლიერ სურვილს გამოხატავენ. ევროკავშირის აღქმა წლების განმავლობაში უცვლელი რჩება. თუმცა, ბოლო წლებთან შედარებით, ქართულენოვნი უფრო ფხიზლად აფასებენ თავიანთ მოლოდინებს ევროკავშირთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბევრმა არ იცის, რას აკეთებს ევროკავშირი საქართველოში და, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დახმარებას აფასებს, მიაჩნია, რომ ეს დახმარება საქართველოში არამიზნობრივად იხარჯება. ამავე დროს, თვალშისაცემია ეთნიკური უმცირესობების აშკარა არაინფორმირებულობა ევროკავშირის შესახებ. ევროკავშირთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე უმცირესობების დიდი ნაწილის პასუხი იყო „არ ვიცი“, რაც, მათ შორის, ინფორმაციის დეფიციტზე მეტყველებს.

### ევროკავშირში ინტეგრაცია

ქართულენოვნების 83 პროცენტმა 2013 წელს განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, ხვალ რომ ტარდებოდეს რეფერენდუმი საქართველოს ევროკავშირში შესვლის შესახებ. ევროკავშირში გაწევრიანების ენთუზიაზმი კვლავ ძალიან ძლიერია. თუმცა, ევროკავშირის ზოგადი აღქმა ძირითადად არ შეცვლილა. ამჟამად, ქართულენოვნების 48 პროცენტს დადებითი წარმოდგენა აქვს ევროკავშირის შესახებ, 42 პროცენტს - ნეიტრალური, ხოლო 6 პროცენტს - უარყოფითი.<sup>2</sup> ამავე დროს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად არიან დარწმუნებული საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სიკეთეებში. ხვალ რომ ტარდებოდეს რეფერენდუმი საქართველოს ევროკავშირში შესვლის შესახებ, ეთნიკური უმცირესობების 52 პროცენტი, ანუ უმრავლესობა, არ დაუჭერდა ამას მხარს ან არ იცის, როგორ მოიქცეოდა.<sup>3</sup> თუმცა, უმცირესობების მესამედს დადებითი წარმოდგენა აქვს ევროკავშირის შესახებ, კიდევ ერთ მესამედს - ნეიტრალური, 23 პროცენტი ვერ გარკვეულა საკუთარ გრძნობებში ევროკავშირის მიმართ.<sup>4</sup> ასეთი მერყეობა ევროკავშირის მიმართ ეთნიკური უმცირესობების განწყობების გამოკვეთილი მახასიათებელია.

ქართულენოვნებს ძალიან გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ იმ სიკეთეებზე, რასაც ევროკავშირის წევრობა მოიტანს.<sup>5</sup> 2013 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 70 პროცენტი თვლის, რომ ეროვნული უსაფრთხოება გაძლიერდება (2011 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 59% იყო). 63 პროცენტი ფიქრობს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსები გაიზრდება; 65 პროცენტი სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდას ელოდება, ხოლო 64-64 პროცენტი - პენსიების ზრდას, სიტყვის თავისუფლების ზრდას და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

<sup>2</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 17 (ყველა ცხრილი მოცემულია დანართში 3).

<sup>3</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 62.

<sup>4</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 17.

<sup>5</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 72.

უმცირესობებსაც აქვთ ამ სიკეთეების იმედი, ოღონდ ეს იმედი ბევრად მოკრძალებულია; ქართულენოვნებთან შედარებით, მათ პასუხებში უფრო ხშირად მოისმენთ, რომ აღნიშნულ სფეროებში არაფერი შეიცვლება, ან რომ მათ არ იციან, შეიცვლება თუ არა რამე.

ევროკავშირში გაწევრიანების მოსალოდნელი სარგებლით აიხსნება ევროინტეგრაციის მხარდაჭერა ქართულენოვნების ასეთი დიდი უმრავლესობის მიერ. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართულენოვნები არარეალისტები მაინც არ არიან. მათ მხოლოდ მცირე ჯგუფს სჯერა, რომ ეს საკითხები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, ხოლო მათი უმრავლესობა მხოლოდ ზომიერ გაუმჯობესებას ელის.<sup>6</sup>

2013 წლის გამოკითხვის შედეგების თანახმად, წინა წლებთან შედარებით ქართულენოვნები მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ევროკავშირთან ურთიერთობას. 2013 წელს ქართულენოვნების 29 პროცენტმა შეაფასა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები როგორც კარგი და თითქმის ორჯერ მეტმა (57%) – როგორც ნეიტრალური. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი 2011 წელს 41 პროცენტი იყო, ხოლო 2009 წელს – 38 პროცენტი.<sup>7</sup> ქართულენოვნები არც ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების რეალური პერსპექტივების შეფასებისას იტყუებენ თავს. მათი მხოლოდ 13 პროცენტი, და უმცირესობების 8 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველო უკვე მზად არის ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ქართულენოვნების 29 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანა ამისათვის მზად ხუთ წელიწადში ან უფრო ადრე იქნება. ქართულენოვნების 35 პროცენტმა და უმცირესობების 58 პროცენტმა კი არ იცის, როდის იქნება საქართველო მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ანალოგიურია პასუხები კითხვაზე, რეალურად როდის შეძლებს საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებას.<sup>8</sup> მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს მიაჩნია, რომ ეს ახლო მომავალში მოხდება.

ქართულენოვნების ორი მესამედი თვლის, რომ ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში, მხარს უჭერს დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებას არაწევრ სახელმწიფოებში და დემოკრატიულ გაერთიანებას წარმოადგენს. შესაბამისი შეფასებები 2009 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ევროკავშირის შესახებ ამ ძირითადად დადებითი შეხედულების მიუხედავად, 2013 წლის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქართულენოვნები უფრო ხშირად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ევროკავშირი იმპერიის ახალი ფორმაა და ის საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს.<sup>9</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვნებთან შედარებით ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად უჭერენ მხარს ევროკავშირში გაწევრიანებას, ისინი შედარებით ნაკლებად აღიქვამენ ევროკავშირს იმპერიად, ან მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ტრადიციებს. ისინი ევროკავშირის შესახებ დადებით მოსაზრებებს უფრო

<sup>6</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 72.

<sup>7</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 20.

<sup>8</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 70.

<sup>9</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 41.



ეთანხმებიან, ვიდრე უარყოფითს. თუმცა, ყველაზე ხშირი პასუხი ყველა ასეთ კითხვაზე არის „არ ვიცი“, რაც უმცირესობებს შორის ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მწვავე ნაკლებობის მაჩვენებელია.

ევროკავშირთან დაკავშირებით ქართულენოვანების არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიზეზების დასაგენად დამატებითი კვლევები იქნება საჭირო. თუმცა, ერთი რამ ცხადია: მოსახლეობის უმეტესობისთვის ევროკავშირში გაწევრიანება არ არის მთავარი პრიორიტეტი. ქართულენოვანებისთვის და უმცირესობებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასაქმების პერსპექტივაა. 2013 წელს ქართულენოვანების 63 პროცენტისა და უმცირესობების 65 პროცენტის აზრით, დასაქმება საქართველოს წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების პირველ სამეულში შედის, რაც, 2011 წლის 58 პროცენტსა და 2009 წლის 53 პროცენტთან შედარებით, გაზრდილი მაჩვენებელია.<sup>10</sup> ტერიტორიული მთლიანობა, მეორე ყველაზე მწვავე პრობლემა, ქართულენოვანების 39 პროცენტმა და უმცირესობების მხოლოდ 5 პროცენტმა დაასახელა. 2009 წელს, ომის შემდეგ ჩატარებულ გამოკითხვაში, ტერიტორიული მთლიანობა ქართულენოვანების 53 პროცენტმა დაასახელა; ამდენივემ დაასახელა მაშინ დასაქმებაც. ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობის კლება, სავარაუდოდ, ომის მოგონებების მივიწყებისა და ხანგრძლივი ეკონომიკური სიდუხჭირის ამსახველია.

ქართულენოვანების მხოლოდ 12 პროცენტმა და უმცირესობების 6 პროცენტმა დაასახელა ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს წინაშე მდგარ სამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შორის. თუ პოლიტიკოსებს, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას სურთ, რომ საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერა გაიზარდოს, აუცილებელი იქნება მოსახლეობას აუხსნან, რა ხელშესახებ ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს ევროკავშირში გაწევრიანება დასაქმებისა და ფასების კუთხით.

## **ცოდნა ევროკავშირის შესახებ**

არც ქართულენოვანები და არც უმცირესობები არ არიან ინფორმირებული ევროკავშირისა და კონკრეტულად ევროკავშირის როლის შესახებ საქართველოში. მაშინ, როდესაც ქართულენოვანები წინა წლებთან შედარებით ოდნავ მეტ ცოდნას ავლენენ ევროკავშირის შესახებ, უმცირესობებს შორის ამ ცოდნის მწვავე დეფიციტი ჩანს.

2013 წელს ქართულენოვანების 82 პროცენტმა სწორად აღნიშნა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი, ხოლო უმცირესობების შესაბამისი მჩვენებელი ნაკლები იყო - 56 პროცენტი. საქართველო ევროკავშირის წევრი ქართულენოვანებისა და უმცირესობების მხოლოდ 8 პროცენტს ჰგონია, უმცირესობათა 35 პროცენტმა კი ამ კითხვაზე პასუხი არ იცის.<sup>11</sup>

<sup>10</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 3.

<sup>11</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 23.

და მაინც, ქართველები არ არიან სათანადოდ ინფორმირებული ევროკავშირის შესახებ. ქართულენოვნების მხოლოდ 24 პროცენტმა და უმცირესობების 17 პროცენტმა აღნიშნა სწორად, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობა 21-დან 30-მდეა.<sup>12</sup> 2013 წელს ქართულენოვნების მხოლოდ 23 პროცენტს და უმცირესობების 7 პროცენტს ჰქონდა გაგონილი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს დიალოგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის.<sup>13</sup>

ასევე დიდი გაურკვევლობაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან დაკავშირებით. ქართულენოვნებისა და უმცირესობების დიდმა ნაწილმა (32% და 44%) არ იცის, თუ რა მისიას ასრულებს ეს სტრუქტურა. ქართულენოვნების მხოლოდ 29 პროცენტმა თქვა სწორად, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს სიტუაციის დარეგულირებას კონფლიქტურ ზონებში. ეს მონაცემი 2011 წლის შესაბამისი მაჩვენებლის ტოლია. თუმცა, ნაკლებია 39 პროცენტიან მაჩვენებელზე, რომელიც 2009 წლის კვლევაში, ანუ მისიის ოპერაციის დაწყებიდან მალევე განხორციელებულ კვლევაში იყო. თითქმის იგივე რაოდენობა, 24 პროცენტი, ფიქრობს, რომ სადამკვირვებლო მისია საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელებას უწყობს ხელს. უმცირესობებს კიდევ უფრო ნაკლები ინფორმაცია აქვთ საქართველოში ევროკავშირის ამ ცნობილი მისიის დანიშნულების შესახებ: მხოლოდ 5 პროცენტმა დაასახელა სწორად მისი ფუნქცია.<sup>14</sup> ის ფაქტი, რომ ასე ცოტა ადამიანმა იცის იმ მისიის ფუნქცია, რომელიც საქართველოში ევროკავშირის, ალბათ, ყველაზე თვალშისაცემი წარმომადგენლობაა, გიჩვენებს, თუ რა მოცულობის სამუშაოა შესასრულებელი იმისთვის, რომ მოსახლეობა ინფორმირებული იყოს საქართველოში ევროკავშირის აქტივობების შესახებ.

### ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის

რადგან მოსახლეობას ბუდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რას აკეთებს ევროკავშირი საქართველოში, მან ასევე არ იცის, თუ რამდენად ეფექტიანია ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის. კითხვას, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება ევროკავშირის დაფინანსება საქართველოში, 2013 წელს ქართულენოვნების 37 პროცენტმა და უმცირესობების 48 პროცენტმა უპასუხა, რომ არ იცის.<sup>15</sup> მართლაც, იმ ქართულენოვნების რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ ევროკავშირის დაფინანსება არამიზნობრივად იხარჯება, მეტია იმათზე, ვინც მიიჩნევს, რომ ეს დახმარება მიზნობრივად იხარჯება (40% და 22%). გარდა ამისა, გარკვეული ცინიზმი შეიმჩნევა პასუხებში კითხვაზე, ვინ სარგებლობს ევროკავშირის დახმარებით: ქართულენოვნების 36 პროცენტს და უმცირესობების 32 პროცენტს მიაჩნია, რომ ყველაზე მეტად ამით მაღალჩინოსნები სარგებლობენ; თითქმის ამდენივე მიიჩნევს, რომ ამ დახმარებით ქვეყნის მოსახლეობა სარგებლობს.<sup>16</sup>

<sup>12</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 22.

<sup>13</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 31.

<sup>14</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 36.

<sup>15</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 45.

<sup>16</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 44.

მიუხედავად ამისა, ქართულენოვნიცა და უმცირესობებიც თვლიან, რომ ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია - 89 და 69 პროცენტი, ქართულენოვნების მხოლოდ 4 პროცენტი და უმცირესობების 11 პროცენტი თვლის, რომ ეს დახმარება არ არის მნიშვნელოვანი.<sup>17</sup> ეს ერთგვარი წინააღმდეგობრივი ვითარება, როდესაც ევროკავშირის დახმარება არაეფექტიანად და უფრო მაღალჩინოსნებისთვის სარგებლობის მომტანად მიიჩნევა, მაგრამ ამავე დროს ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი, შეიძლება იმაზე მიაჩნებდეს, რომ ევროკავშირი ძირითადად უფრო დიპლომატიურ პარტნიორად და ადამიანის უფლებების დამცველად აღიქმება, ვიდრე ეფექტიან დონორად. თუმცა, ამ ჰიპოთეზის დადასტურებისთვის დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

ქართულენოვნიცა და უმცირესობები ფიქრობენ, რომ ევროკავშირი საქართველოს ალტრუსტული მიზნებით ეხმარება.<sup>18</sup> ყველაზე ხშირი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ეხმარება ევროკავშირი საქართველოს არის ის, რომ ევროკავშირს სურს სტაბილურობა მის სამეზობლოში - 60 პროცენტი ამ მოსაზრებას ეთანხმება ან სრულად ეთანხმება. ორი სხვა ასევე ხშირად ნახსენები მიზეზი იყო: ევროკავშირი ეხმარება ყველა განვითარებად ქვეყანას და ევროკავშირი დაინტერესებულია საქართველოს სტაბილურობით, რათა გამოიყენოს ჩვენი ტერიტორია ევროპაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისთვის. თუმცა, 19 პროცენტს მიაჩნია, რომ დახმარების გაწევით ევროკავშირს სურს, თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველო.<sup>19</sup>

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმეტესობამ ზუსტად არ იცის, რას აკეთებს ევროკავშირი საქართველოში და თან ბევრი ფიქრობს, რომ ევროკავშირის დახმარება არამიზნობრივად იხარჯება, მაინც არის განცდა, რომ ევროკავშირი კარგია, ის საქართველოს კეთილი მიზნებით ეხმარება და ეს დახმარება მნიშვნელოვანია.

### უმცირესობები რუსეთისკენ, ქართულენოვნიცა კი ევროპისკენ იხრებიან

ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება ქართულენოვნიცისა და უმცირესობების განწყობებს შორის, როდესაც საქმე, ერთის მხრივ რუსეთისადმი და, მეორეს მხრივ, ევროპისა და დასავლეთისადმი დამოკიდებულებას ეხება. უმცირესობებს რუსეთი მიაჩნიათ იმ ქვეყნად, რომელიც საქართველოს ყველაზე უკეთ დაეხმარება (57%, ხოლო ასეთი ქართულენოვნიცის რიცხვია 17%). ქართულენოვნიცისთვის კი პირიქით, ევროკავშირია ის, რომელიც მათ ყველაზე უკეთ დაეხმარება: ასე ქართულენოვნიცის 38 პროცენტი და უმცირესობების მხოლოდ 14 პროცენტი ფიქრობს.

კითხვა 48: ყველაზე უკეთ ვის შეუძლია დღეს დაეხმაროს საქართველოს – ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს თუ რუსეთს? (2013; %)

ქართულენოვნიცა	უმცირესობები
----------------	--------------

<sup>17</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 46.

<sup>18</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 47.

<sup>19</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 47.

ევროკავშირი	38	14
აშშ	18	17
რუსეთი	17	57
არცერთი	7	2
არ ვიცი	19	9

უმცირესობების თითქმის იმავე ნაწილს მიაჩნია, რომ დსთ-თან თანამშრომლობა, სადაც რუსეთი წამყვანი ძალაა, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ევროკავშირთან (შესაბამისად, 26% და 30%; ქართულენოვნების მხოლოდ 11 პროცენტს მიაჩნია, რომ რუსეთთან თანამშრომლობა ყველაზე მნიშვნელოვანია).<sup>20</sup>

ემიგრაციას რაც შეეხება, ქართულენოვნებისა და უმცირესობების ერთი მეოთხედი წავიდოდა საზღვარგარეთ სამუშაოდ. თუმცა, ემიგრაციის მსურველი უმცირესობებიდან 55 პროცენტს რუსეთში წასვლა ურჩევნია მაშინ, როდესაც ამ ქვეყანაში ემიგრაციის მსურველი ქართულენოვნების რაოდენობა მხოლოდ 15 პროცენტია იმის მიუხედავად, რომ რუსეთში ქართველების დიდი დიასპორაა.<sup>21</sup> იმ უმცირესობების საერთო რაოდენობიდან, ვინც სწავლის გასაგრძელებლად წავიდოდა საზღვარგარეთ, 35 პროცენტი რუსეთს ირჩევს; ასეთთა რაოდენობა ქართულენოვან რესპონდენტებს შორის მხოლოდ 4 პროცენტია.<sup>22</sup>

უმცირესობების ასეთი გამოკვეთილი ორიენტაცია რუსეთზე განსაკუთრებით თვალშისაცემია, როდესაც საქმე უცხო ენის არჩევას ეხება. კითხვაზე, რომელი უცხო ენის სწავლა უნდა იყოს სავალდებულო სკოლებში, ანუ, მომავალი თაობები რომელ ენებზე შეძლებენ კომუნიკაციის დამყარებას გარე სამყაროსთან, უმცირესობების 53 პროცენტი რუსულს ასახელებს, თითქმის ორჯერ მეტი ქართულენოვნების იმ 25 პროცენტთან შედარებით, ვინც ამავე მოსაზრებას იზიარებს. ქართულენოვნების 62 პროცენტს ინგლისური ენის სწავლება სავალდებულოდ მიაჩნია ქართულ სკოლებში, ამავე აზრის მქონე უმცირესობების წილი კი 38 პროცენტს შეადგენს. ქართულენოვნების მხრიდან ინგლისური ენისთვის ასეთი გამოკვეთილი უპირატესობის მინიჭება აშკარად მიუთითებს მათ პროდასავლურ ორიენტაციაზე და ასევე იმ განცდაზე, რომ მომავალი ინგლისური ენის ცოდნასთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე რუსულის.

უნდა აღინიშნოს, რომ უმცირესობების მხრიდან რუსულისთვის ამ უპირატესობის მინიჭება არ მიუთითებს იმაზე, რომ მათ რუსული უკეთ იციან, ვიდრე ქართულენოვნებმა. სინამდვილეში, ქართულენოვნებთან შედარებით, უმცირესობებმა რუსული უფრო ცუდად იციან: ქართულენოვნების 29 პროცენტი ამბობს, რომ რუსული კარგად იცის (2011 წელს ეს მაჩვენებელი 38% იყო), ხოლო უმცირესობებს შორის ასეთი 20 პროცენტია. გარდა ამისა, ელემენტარული რუსული არ იცის უმცირესობების 17 პროცენტმა და ქართულენოვნების 10 პროცენტმა.

<sup>20</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 9.

<sup>21</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 52.

<sup>22</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 54.

რუსეთისადმი ქართულენოვანებისა და უმცირესობების დამოკიდებულებებს შორის განსხვავების კიდევ ერთი მაჩვენებელი ისაა, რომ უმცირესობათა ნახევარზე მეტმა (56%) რუსეთთან ურთიერთობები საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შორის დაასახელა. ქართულენოვანების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 24 პროცენტია.<sup>23</sup> კითხვაზე, თუ ვისთან უნდა ჰქონდეს საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა, ევროკავშირი ქართულენოვანების 69 პროცენტმა, ხოლო უმცირესობების მხოლოდ 30 პროცენტმა დაასახელა.<sup>24</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ ქართულენოვანთა რაოდენობა, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს ყველაზე ახლო პოლიტიკური თანამშრომლობა რუსეთთან უნდა ჰქონდეს, 2011 წლის 47 პროცენტიდან გაიზარდა 65 პროცენტამდე 2013 წელს, რაც შესაძლოა, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ქართულენოვანებისა და უმცირესობების შეხედულებები ამ საკითხზე ერთმანეთს უახლოვდება. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვანები გაცილებით უფრო დიდი ევროფილები არიან უმცირესობებთან შედარებით, ისინი სულ უფრო მეტად ეთანხმებიან უმცირესობებს რუსეთთან თანამშრომლობის თაობაზე. ქართულენოვანების მზარდ პოზიტიურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ სხვა კვლევებიც ადასტურებს. მაგალითად, CRRC-ის მიერ ჩატარებული 2012 წლის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, ქართველების რაოდენობა, რომლებიც რუსეთს ყველაზე დიდ მტრად მიიჩნევენ, შემცირდა 2011 წლის 51 პროცენტიდან 35 პროცენტამდე 2012 წელს.

ეს შედეგები შეიძლება, აიხსნას იმით, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობს ურთიერთობების ნორმალიზებას რუსეთთან და ცოტა ხნის წინ ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნა. ბუნებრივია, ომისშემდგომ პერიოდში, 2009 წელს, როდესაც რუსეთთან ურთიერთობები უკიდურესად დამაბული იყო, რუსეთთან თანამშრომლობის სურვილი ბევრად ნაკლებმა გამოხატა. საინტერესო იქნებოდა დაკვირვება, გაიზარდებდა თუ არა საქართველოს მოსახლეობის სურვილი, მჭიდროდ ითანამშრომლოს ამ ქვეყანასთან, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების რაიმე შემდგომი გაუმჯობესების კვალობაზე.

### ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა უმცირესობებისთვის

როგორც ზემოთ აღინიშნა, უმცირესობებს ბევრად უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებზე, ვიდრე ქართულენოვანებს. უმცირესობები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ იციან, არის თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი, რას მოუტანს ქვეყანას ევროკავშირის წევრობა ან დაუჭერდნენ თუ არა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ეს ბუნდოვანება, სავარაუდოდ, ინფორმაციის ნაკლებობის შედეგია: უმცირესობები ამ და ბევრ სხვა საკითხზე ინფორმაციას არ ან ვერ იღებენ.

ინფორმაციის ასეთი დეფიციტი გასაკვირი არ არის. უმცირესობების თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ელემენტარული ქართული არ იცის, ხოლო რუსული კარგად უმცირესობების მხოლოდ 20 პროცენტმა იცის. მარტივად რომ ავხსნათ,

<sup>23</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 3.

<sup>24</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 58.

უმცირესობათა უმეტესობას ქართველ თანამემამულეებთან კომუნიკაციის ან ქვეყნის მედიით სარგებლობის არანაირი საშუალება არა აქვს. შედეგად, მათ არ აქვთ შესაძლობა, რომ სრულად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებაში.

უმცირესობები ამბობენ, რომ მათ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება არ აინტერესებთ. ქვეყნის საშინაო პოლიტიკა ქართულენოვნების 55 პროცენტს აინტერესებს, ხოლო 45 პროცენტს არ აინტერესებს. უმცირესობების შემთხვევაში კი შესაბამისი მონაცემები 37 და 61 პროცენტია.<sup>25</sup> შედეგები ანალოგიურია საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებითაც: უმცირესობების 63 პროცენტს საგარეო პოლიტიკა არ აინტერესებს, რაც, უდავოდ, ევროკავშირის შესახებ მათ წარმოდგენებზეც აისახება.<sup>26</sup>

ჩართულობის ამ ნაკლებობის მკაფიო ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ უმცირესობების ორ მესამედზე მეტმა, ამჟამინდელი და ყოფილი მმართველი პარტიების (კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გარდა, ვერ გამოხატა საკუთარი განწყობა საქართველოს რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტიის მიმართ.<sup>27</sup>

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს უმცირესობების პოზიტიური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. მართლაც, ორივე პოლიტიკური პარტია, რომლის მიმართაც უმცირესობები ყველაზე პოზიტიურ განწყობებს გამოხატავენ, ამ რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ „ევროპული ღირებულებების“ მატარებელ პარტიებად მიიჩნევა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ უმცირესობები ცუდად არ არიან განწყობილი ევროპის მიმართ.

მართლაც, გასაკვირი არ არის, რომ ქართულენოვნებსა და უმცირესობებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ამ საკითხებზე. ორივე ჯგუფი ინფორმაციის აბსოლუტურად განსხვავებული წყაროებით სარგებლობს. გარდა ამისა, უმცირესობებს ზოგადად საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიღების ნაკლები არჩევანი აქვთ.

ქართულენოვნები ახალი ამბების ხარზი მომხმარებლები არიან. 2013 წლის კვლევის მიხედვით, ქართულენოვანთა ორი მესამედი პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას ყოველდღიურად ტელეკომპანიების რუსთავი 2-ისა (69%) და იმედის (65%) მეშვეობით იღებს. ეს არის მათთვის ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის წყარო. ამავე დროს უმცირესობების ორი მესამედი რუსთავი 2-სა და იმედს, საქართველოში ყველაზე პოპულარულ ტელეარხებს, საერთოდ არ უყურებს.<sup>28</sup> ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით, გასაკვირი არც არის, რომ შინამეურნეობების უმრავლესობა ინფორმაციას ქართული არხებიდან არ იღებს.

მიუხედავად ამისა, უმცირესობების უმეტესობა (39%) აღნიშნავს, რომ ევროკავშირის შესახებ ბევრ ინფორმაციას ტელევიზიის მეშვეობით იღებს (ქართულენოვნების

<sup>25</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 1.

<sup>26</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 2.

<sup>27</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 15.

<sup>28</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 5.

შემთხვევაში ეს მონაცემი 27 პროცენტია).<sup>29</sup> იმის გათვალისწინებით, რომ უმცირესობები ქართულ არხებს ნაკლებად უყურებენ, ასეთი ტელევიზია უცხო ქვეყნის ტელევიზიაა. არ არის გასაკვირი, რომ უცხო ქვეყნის ტელეარხები საქართველოს ევროკავშირთან, რუსეთსა და რეგიონთან ურთიერთობების განსხვავებულ და სავარაუდოდ, ნაკლებ დეტალურ ინფორმაციას გადმოსცემს, რაც განაპირობებს იმ სხვაობებს, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი.

გარდა ამისა, უმცირესობებს ინფორმაციის სხვა წყაროებზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. ინტერნეტს ყოველდღიურად ქართულენოვანების ერთი მესამედი იყენებს, ხოლო უმცირესობების მხოლოდ 12 პროცენტი. გარდა ამისა, ქართულენოვანების თითქმის ნახევარს (48%) არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი; ეს მონაცემი უმცირესობების შემთხვევაში 61 პროცენტს აღწევს, რასაც უმცირესობების ის 8 პროცენტიც ემატება, რომელმაც არ იცის, რა არის ინტერნეტი.<sup>30</sup> ასევე, ქართულენოვანები და უმცირესობები ინტერნეტს სხვადასხვა მიზნით იყენებენ: მაშინ, როდესაც ინტერნეტის მომხმარებელი ქართულენოვანებისა და უმცირესობების თითქმის 70 პროცენტი ინტერნეტს სოციალური ქსელებისთვის იყენებს, ინფორმაციის მოსაძიებლად ინტერნეტს ამ კატეგორიის ქართულენოვანი რესპონდენტების 58 პროცენტი, ხოლო უმცირესობების მხოლოდ 20 პროცენტი იყენებს. უმცირესობები ინტერნეტს უფრო მეგობრებსა და ნათესავებთან სკაიპით კომუნიკაციისთვის იყენებენ.<sup>31</sup>

განსხვავება ამ ორი ჯგუფის ინფორმირებულობის დონეებს შორის შეიძლება, აიხსნას იმით, რომ ქართულენოვანები და უმცირესობები სხვადასხვა მედია საშუალებებით სარგებლობენ და უმცირესობები, ქართულენოვანებთან შედარებით, ნაკლებად იყენებენ ინტერნეტს. გარკვეულწილად ამით აიხსნება ისიც, რომ უმცირესობები არაინფორმირებულები არიან საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ასპექტების შესახებ და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე. საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის სიმწირის და, ზოგადად, უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროების ნაკლებობის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ უმცირესობები ვერ ავლენენ ცოდნას ევროპის შესახებ. უმცირესობების თითქმის ნახევარს არ სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება ევროპის შესახებ და მხოლოდ 32 პროცენტი ამბობს, რომ სურს მეტი შეიტყოს. ქართულენოვანების შემთხვევაში კი სურათი საპირისპიროა: 53 პროცენტს სურს, მეტი შეიტყოს ევროპის შესახებ (რაც 2009 წლის 66 პროცენტზე ნაკლებია), ხოლო 37 პროცენტი ამბობს, რომ მეტი ინფორმაციის მიღება არ უნდა.<sup>32</sup>

ინფორმირების დონეში ასეთი განსხვავების გათვალისწინებით, არ უნდა ველოდოთ, რომ უმცირესობები უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებენ ან სურვილი ექნებათ, მიიღონ ინფორმაცია ევროპისა და ევროკავშირის შესახებ, სანამ არ მოხდება მათი მეტად ინტეგრირება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. უმცირესობების განწყობების

<sup>29</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 37.

<sup>30</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 83.

<sup>31</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 85.

<sup>32</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 38.

რადიკალური ცვლილება ნაკლებად სავარაუდოა მანამ, სანამ ისინი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში არ ჩაერთვებიან; ამისათვის კი მათ ინფორმაციის მიღებისა და დებატებში მონაწილეობის საშუალება უნდა ჰქონდეთ.



## სოციალური და პოლიტიკური განწყობები: ევროპული ღირებულებებისკენ ნელი სვლა

ქართველი პოლიტიკოსები ხშირად საუბრობენ ქვეყნის ევროპული მომავლისა და „ევროპული ერების ოჯახთან“ საქართველოს გაერთიანების შესახებ. რადგან ევროკავშირი ამ ერების ოჯახს წარმოადგენს, ის ეფუძნება საერთო ღირებულებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ემყარება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და საერთო კულტურის ურყევ რწმენას. კვლევის სამი ტალღის შედეგების თანახმად, საქართველო ჯერ ძალიან შორს დგას ამ საერთო ღირებულებების სრულად გაზიარებისგან. თუმცა, 2009 წელთან შედარებით, ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლა შეინიშნება.

ქართულენოვანთა დიდი ნაწილი თავს ევროპელად არ მიიჩნევს, მხოლოდ ყოველი მეხუთე თვლის თავს ერთდროულად ქართველად და ევროპელად. ეს იმის მიუხედავად ხდება, რომ უმრავლესობა ეთანხმება ყოფილი პრემიერმინისტრის, ზურაბ ჟვანიას გამონათქვამს: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი.“ ეს, სავარაუდოდ, იმის მაჩვენებელია, რომ ევროპული იდენტობა საქართველოში სრულად დამკვიდრებული არ არის.

საქართველო ღრმად კონსერვატიულ ქვეყნად რჩება, სადაც გაუმართლებლადაა მიჩნეული ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობები, განსაკუთრებით ქალის მხრიდან. უმცირესობები განსაკუთრებით კონსერვატიულები არიან. თუმცა, ეს მიდგომები ბოლო წლებში გარკვეულწილად შერბილდა, რაც შესაძლოა, იმის ვარაუდის საფუძველს იძლეოდეს, რომ ის, რასაც ფართო გაგებით „ევროპული ლიბერალიზმი“ შეიძლება, ეწოდოს, ძლიერდება. ქართულენოვნები (ქვეყნის ეთნიკური უმცირესობებისგან განსხვავებით) შედარებით გახსნილები არიან გარე სამაყროსადმი და, უმცირესობებთან შედარებით, მეტ მზადყოფნას გამოთქვამენ უცხოელებთან ბიზნესის კეთებისთვის.

ამას ემატება ისიც, რომ ძლიერდება სახელმწიფოს თანამედროვე ხედვა და კრიტიკული პოზიცია მთავრობის მიმართ. ახლა უფრო მეტი ქართულენოვანი ამბობს, რომ მთავრობა დაქირავებულივით უნდა იქცეოდეს და არა მშობელივით. ასევე, ქართულენოვნებს უფრო მეტად მიაჩნიათ, რომ აქტიური მოქალაქეობა მნიშვნელოვანია. ამ საკითხებზე უმცირესობებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და უფრო კონსერვატიულ, პატერნალისტურ შეხედულებებს ავლენენ. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს უმცირესობების უფრო ღრმა ინტეგრაციას საქართველოს საზოგადოებაში.

### სოციალური განწყობები და იდენტობა

მიუხედავად ევროკავშირში გაწევრიანებისადმი დიდი მხარდაჭერისა, ქართულენოვნები საკუთარ თავს ევროპელად არ აღიქვამენ. მხოლოდ 20 პროცენტი თვლის თავს ერთდროულად „ქართველად და ევროპელად.“ თუმცა, ქართულენოვანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ქართველადაც მიიჩნევენ და

ევროპელადაც, იზრდება: 2009 წელს ქართულენოვნების მხოლოდ 13 პროცენტი, ხოლო 2011 წელს 16 პროცენტი მიიჩნევდა თავს ასეთად.<sup>33</sup> ეს მცირე მატება შესაძლოა სულ უფრო მეტი ქართველის მიერ საკუთარი თავის ევროპულ ღირებულებებთან იდენტიფიცირების ტენდენციის მაჩვენებელი იყოს.

მეორეს მხრივ, უმცირესობები არ აღიქვამენ თავს ევროპელად (უმცირესობების მხოლოდ 2% აღიქვამს თავს ასეთად), მაგრამ ქართულენოვნებთან შედარებით უფრო ხშირად აიგივებენ თავს უფრო ფართო იდენტობასთან: უმცირესობათა დიდი ნაწილი (46%) საკუთარ თავს კავკასიურ, ანუ უფრო ყოვლისმომცველ იდენტობასთან აიგივებს. ამ პან-ეთნიკურმა იდენტობამ შესაძლოა, საქართველოს უმცირესობებისთვის ერთ დღეს ევროპელობის მნიშვნელობა შეიძინოს.

2013 წელს როგორც ქართულენოვნების, ასევე უმცირესობების დიდი უმრავლესობა კვლავ სოციალურად კონსერვატიულ მოსაზრებებს და რელიგიური ინსტიტუტებისადმი დიდ ნდობას გამოხატავდა. საინტერესოა, რომ ქართულენოვან თანამემამულეებთან შედარებით, უმცირესობები სოციალურად უფრო კონსერვატიულები არიან. ქართულენოვანი რესპონდენტების 56 პროცენტმა თქვა, რომ არასდროს არ ამართლებს ქალის მიერ ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას; უმცირესობათა შორის კი ანალოგიური მოსაზრება 83 პროცენტმა გამოხატა. ასევე, ქართულენოვნებთან შედარებით, უმცირესობებს შორის უფრო მეტია მათი რიცხვი, ვინც არასდროს ამართლებს ქალის სექსუალურ ურთიერთობებს ქორწინებამდე (უმცირესობების 78%, ქართულენოვნების 68%). გარდა ამისა, თუ ქართულენოვნების მხოლოდ ერთი მესამედი არ ამართლებს მამაკაცის სექსუალურ ურთიერთობებს ქორწინებამდე, ასეთთა რიცხვი უმცირესობებს შორის 71 პროცენტს აღწევს.<sup>34</sup>

2009 წლის შემდეგ ქართულენოვნების შეხედულებები ამ საკითხებზე შედარებით ლიბერალური გახდა. თუ 2009 წლის კვლევის მიხედვით რესპონდენტთა 63 პროცენტი არ ამართლებდა ქალის მიერ ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას, 78 პროცენტი კი ქალის სექსუალურ ურთიერთობებს ქორწინებამდე, 2013 წლის კვლევაში ეს მონაცემები 56 და 68 პროცენტამდე შემცირდა. გასაკვირი არ არის, რომ უფრო კოსმოპოლიტურ თბილისში მცხოვრები ქართულენოვნებისთვის ეს საკითხები უფრო მისაღებია და ამ კატეგორიის რესპონდენტთა მხოლოდ 37 პროცენტი მიიჩნევს ქალის მიერ ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას გაუმართლებლად. სოფლად მცხოვრები ქართულენოვნები მეტად კონსერვატიულები არიან, თუმცა, მაინც უფრო ტოლერანტულები, ვიდრე უმცირესობები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ საკითხებზე საჯარო დებატები ბოლო თვეებში უფრო ინტენსიური გახდა, ქართულენოვნების მხრიდან ლიბერალური ღირებულებების გაძლიერების ტენდენცია იმედისმომცემია და ორგანიზაციებმა, რომლებიც ლიბერალური, ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას ისახავენ მიზნად, უნდა სცადონ ამის მეტად გამოყენება.

<sup>33</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 81.

<sup>34</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 7.

უმცირესობებს შორის მზარდი სოციალური კონსერვატიზმი რელიგიურობის ზრდაზე არ აისახება. უმცირესობების მხოლოდ 14 პროცენტი ამბობს, რომ რელიგიურ მსახურებას თვეში ერთხელ ან მეტჯერ ესწრება მაშინ, როდესაც ქართულენოვნებს შორის შესაბამისი მაჩვენებელი 37 პროცენტია.<sup>35</sup> ქართულენოვნებისთვის რელიგია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმცირესობებისთვის: ქართულენოვნების 84 პროცენტი ამბობს, რომ რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, შესაბამისი მაჩვენებელი უმცირესობების შემთხვევაში 59 პროცენტია.<sup>36</sup> უმცირესობების შედარებით ნაკლები რელიგიურობა შეიძლება, პოტენციურად კარგი საწყისი პირობა იყოს ევროპული ღირებულებების გასაძლიერებლად, რადგან რელიგიები ხშირად კონსერვატიზმის, პატრიარქალური ღირებულებების გაძლიერების მქადაგებლად არის მიჩნეული. თუმცა, ეს ჰიპოთეზა შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ქართულენოვნები უფრო გახსნილები არიან გარე სამყაროს მიმართ, ვიდრე უმცირესობები. 70 პროცენტზე მეტი ქართულენოვანი იწონებს საქმიან ურთიერთობას ყველა იმ ერის წარმომადგენელთან, რომლებიც კითხვარშია ჩამოთვლილი - რუსებიდან დაწყებული ირანელებით და ებრაელებით დამთავრებული. ეს ციფრები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა კვლევის წინა ორ ტალღასთან შედარებით. უმცირესობები ბევრად უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი. რუსეთის შემთხვევაშიც კი, ქვეყნისა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორად მიიჩნევენ, უმცირესობების მხოლოდ 69 პროცენტი იწონებს საქმიან ურთიერთობას რუსებთან, ხოლო 26 პროცენტს ეს არ მოსწონს. შესაბამისი მონაცემები ქართულენოვნების შემთხვევაში ასეთია: 88 პროცენტი იწონებს და მხოლოდ 11 პროცენტი არ იწონებს. უმცირესობების უმეტესობა არ იწონებს საქმიან ურთიერთობას ფრანგებთან, ესპანელებთან, იტალიელებთან, პოლონელებთან, ბერძნებთან, ებრაელებთან, ამერიკელებსა და ირანელებთან.<sup>37</sup>

## პოლიტიკური განწყობები

სოციალური საკითხებისადმი განწყობების ზემოთ აღწერილი მცირე გაუმჯობესების მსგავსად, რომლებსაც ევროპული ღირებულებები შეიძლება ვუწოდოთ, ქართულენოვნები მეტად „ევროპულ“ ხედვას ავლენენ სახელმწიფოს და მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის დამოკიდებულების მიმართაც. 2013 წელს ქართულენოვნების ნახევარმა (52%) აღნიშნა, რომ მთავრობა დაქირავებულივით უნდა იქცეოდეს, 38 პროცენტს კი მიაჩნია, რომ მთავრობა მშობელივით უნდა იყოს. 2009 წელს რესპონდენტთა 45 პროცენტს მიაჩნდა, რომ მთავრობა მშობელი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, სახეზეა მოქალაქეობის და სახელმწიფოს უფრო თანამედროვე კონცეფციების განვითარება. ეს ცვლილება შეიძლება, უბრალოდ მაგალითი იყოს იმისა, თუ როგორ ღვინდება ქართველების პოლიტიკური განწყობები ანდა იმ კონკურენტული პოლიტიკური გარემოს გამოცდილებიდან გამომდინარეობდეს, რომელიც ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება. ასეა თუ ისე, ნათელია, რომ

<sup>35</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 90.

<sup>36</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 12.

<sup>37</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 105.

ქართულენოვნები ნელა, მაგრამ თანდათან უფრო მეტად გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე.

იმავეს ვერ ვიტყვით უმცირესობებზე, რომელთა თითქმის სამი მეოთხედი სხვაგვარად ფიქრობს: 2013 წელს უმცირესობათა 75 პროცენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლება მშობელივით უნდა იქცეოდეს და მხოლოდ 14 პროცენტი ფიქრობს, რომ ის დაქირავებულივით უნდა იყოს. სახელმწიფოს ასეთი პატერნალისტური აღქმა შესაბამისობაშია უმცირესობების კონსერვატიულ შეხედულებებთან; პატერნალისტური აღქმის მაჩვენებელია ისიც, რომ უმცირესობები ქართულენოვნებზე უფრო ხშირად ამბობენ, რომ კარგი მოქალაქისთვის არ არის მნიშვნელოვანი, იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ (უმცირესობები 56%; ქართულენოვნები 18%) და მონაწილეობა მიიღოს საპროტესტო აქციებში (უმცირესობები 60%; ქართულენოვნები 39%).

ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, ჩვეულებრივ, არჩევნებში ხმას მმართველ პარტიას აძლევენ (მიუხედავად იმისა, რომელი პარტია წარმოადგენს მმართველ ძალას) და რომ ხელისუფლებაში მყოფ პარტიას ყოველთვის დიდი მხარდაჭერა აქვს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. ცოტა საკვირველია, რომ სოფლად მცხოვრებ იზოლირებულ თემებს, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო ვერ ურთიერთობენ სამთავრობო უწყებებთან, ასეთი პოზიტიური წარმოდგენა ჰქონდეთ ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. თუმცა, ამის მიზეზების შეფასება ამ ანალიზის ფარგლებს სცდება. მართლაც, 2013 წლის კვლევაში რესპონდენტების უმრავლესობამ დადებითი დამოკიდებულება გამოხატა სახელმწიფოს მიმართ: 69 პროცენტი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ხელისუფლება მათნაირ ადამიანებს კარგად ექცევა, ქართულენოვნების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 57 პროცენტი იყო.<sup>38</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვნებს შორისაც უფრო მეტია ისეთი, ვინც თვლის, რომ მას ხელისუფლება კარგად ექცევა: 2009 წელს, გამოკითხულთა 41 პროცენტი სრულად ან ნაწილობრივ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ხელისუფლება მათნაირ ადამიანებს სამართლიანად ექცევა; ეს მაჩვენებელი 2011 წელს 49 პროცენტამდე, ხოლო 2013 წელს 57 პროცენტამდე გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვნების მზარდ რაოდენობას მიაჩნია, რომ მას სამართლიანად ექცევიან, ქართულენოვნები უფრო მეტად კრიტიკულები არიან სახელმწიფოს, მისი ლიდერებისა და საქართველოს დემოკრატიის დონის მიმართ. 2013 წელს, 2011 და 2009 წლების კვლევებთან შედარებით, ოდნავ მეტი ქართულენოვანი ფიქრობს, რომ მთავრობის მიმართ კრიტიკული მიდგომა მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქეობისთვის (72 პროცენტი, 66 და 52 პროცენტთან შედარებით).<sup>39</sup>

გარდა ამისა, სულ უფრო მეტი ქართულენოვანი აფასებს ქვეყანაში არსებული დემოკრატიის დონეს კრიტიკულად. ამავდროულად უმცირესობებს უფრო ოპტიმისტური ხედვა აქვთ. 2011 წელს ქართულენოვნების 42 პროცენტი ფიქრობდა,

<sup>38</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 13.

<sup>39</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 6.

რომ საქართველო უკვე დემოკრატიული ქვეყანა იყო, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროებდა გაუმჯობესებას, 32 პროცენტი კი თვლიდა, რომ ქვეყანა ჯერ არ იყო დემოკრატიული, მაგრამ ამ მიმართულებით ვითარდებოდა. 2013 წელს იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოში არასრული დემოკრატიაა 39 პროცენტს აღწევს, იმათი რაოდენობა კი, ვისაც მიაჩნია, რომ ქვეყანაში დემოკრატია ჯერ არ დამყარებულა, 42 პროცენტამდე გაიზარდა. უფრო თვალშისაცემი სხვაობა მაინც ის არის, რომ უმცირესობათა 23 პროცენტს მიაჩნია, რომ საქართველო დემოკრატიულია და გაუმჯობესებას არ საჭიროებს, ხოლო ამავე მოსაზრებას ქართულენოვანთა მხოლოდ 2 პროცენტი ეთანხმება. ეს, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ მიუთითებს უმცირესობებს შორის მთავრობით „კამყოფილების“ უფრო მაღალ დონეზე ქართულენოვანებთან შედარებით.<sup>40</sup>

ეს ტენდენციები ქართულენოვანების პოლიტიკურ განწყობებში იმის მაჩვენებელია, რომ ქართულენოვანების მიერ სახელმწიფოსა და მოქალაქეობის აღქმა უფრო მეტად ემთხვევა ევროპულ ღირებულებებს, ვიდრე ეს წარსულში იყო: ისინი სახელმწიფოს არამარტო უყურებენ, როგორც ინსტიტუტს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა ემსახურებოდეს, არამედ უფრო ხშირად ამბობენ, რომ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მიდგომა მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქისთვის. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ალბათ, ისეთი სიტუაციის მომსწრენი გავხდებით, როდესაც ქართულენოვანების სოციალური და პოლიტიკური ღირებულებები ევროპულ ღირებულებებს კიდევ უფრო დაუხლოვდება.

---

<sup>40</sup> იხილეთ ცხრილი, კითხვა 10.

## დასკვნა

ქართულენოვნები ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფების ერთგულნი რჩებიან. მიუხედავად იმ ადამიანების რაოდენობის მცირე ზრდისა, რომლებიც ევროკავშირის საქმიანობას სკეპტიკურად უყურებენ, ზოგადი სურათი იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობაში პროევროპული მიდრეკილებები ღრმადაა გამჯდარი. მიუხედავად ამ ენთუზიაზმისა, საქართველოში ევროკავშირის ქმედებების შესახებ ცოდნის დიდი დეფიციტია, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებს შორის. ეს ის საკითხია, რაც პოლიტიკის შემმუშავებლებმა უნდა გამოასწორონ, რათა ხელი შეეწყოს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების გაძლიერებას.

საქართველო ასევე ის ქვეყანაა, სადაც ღირებულებები ევროპული მიმართულებით იცვლება - დაწყებული იმით, რომ ხელისუფლებას დაქირავებულს ადარებენ, დამთავრებული სოციალურ საკითხებზე უფრო ლიბერალური შეხედულებებით. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ქართველების შეხედულებების დაახლოებას ევროპულ ღირებულებებთან. თუმცა, ქართველები თავს ევროპელებად მაინც არ აღიქვამენ და ურჩევნიან, მხოლოდ ქართველებად იწოდებოდნენ. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების სტაბილურ განვითარებასთან ერთად, მეტის გაკეთება შეიძლება ინკლუზიურობის შეგრძნებისა და პლურალისტული იდენტობის პოპულარიზაციისთვის.

ყველაზე დიდი ცვლილება, რომელიც კვლევის სამი ტალღის განმავლობაში შეინიშნება, რუსეთისადმი დამოკიდებულებას ეხება: 2008 წლის ომის მოგონებების მივიწყების და თანდათან ურთიერთობების ნორმალიზების პარალელურად, სულ უფრო მეტი ქართულენოვანი აღიქვამს რუსეთს პოტენციურ ეკონომიკურ პარტნიორად. ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილება იყოს, რადგან ქართულენოვნებმა, რომელთა ყველაზე დიდი საფიქრალი დასაქმება და სხვა ეკონომიკური პრობლემებია, შესაძლოა, ევროკავშირთან შედარებით, პრიორიტეტი რუსეთს მიანიჭონ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვნების იმპულსები მყარად პროევროპულია, რუსეთთან გაუმჯობესებული ურთიერთობების ხელშესახებმა სარგებელმა შეიძლება, ეს დამოკიდებულება შეცვალოს.

